საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3242/01
26/03/2020

3242-01-2-202003261841

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 24 თებერვლის N232 წერილით წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარე მესტიაჭალაზე ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებას და გაცნობებთ შემდეგს:

- გადამოწმებას საჭიროებს მდ. მესტიაჭალის საანგარიშო ხარჯი რეგიონალური ემპირიული ფორმულით.
- დოკუმენტაციაში მოცემული უნდა იყოს მდინარის საანგარიშო დატბორვისა და კალაპოტის წარეცხვის დონეები ყველა საპროექტო უბნისთვის (აბსოლუტური ნიშნულები).
- დამატებით დასაბუთებას საჭიროებს მთის მდინარეზე ნაკადამრიდი დეზების (რეკომენდირებულია ამ ტერმინის გამოყენება, ტალღმჭრელის ნაცვლად) სისტემის მოწყობის საკითხი. იმ პირობებში, როდესაც ხდება ჭალაკალაპოტის არაპროგნოზირებადი დალექვა მდინარის მყარი ჩამონედენით, შესაძლებელია არ იყოს გამართლებული ნაკადმიმმართველი დეზების სისტემის გამოყენება. გარდა ამისა, დეზების გათვლის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს კალაპოტის ადგილობრივი და არა ზოგადი წარეცხვა, რაც პროექტიდან ცალსახად არ იკითხება.
- მოცემული უნდა იყოს დაგეგმილი ღონისძიებების გეგმა, ნაგებობების განივი და გრძივი პროფილები, კონკრეტული აბსოლუტური ნიშნულებით, მდინარის საანგარიშო დონეების ჩვენებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც სკრინინგის განცხადებაში გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული საკითხები.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044